ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 790 95-97-37

მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №22

14 იანვარი 2016 წ.

მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ"- საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის, ,,მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის წესი დამტკიცების შესახებ" - საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 ნოემბრის N591 დადგენილების მე-17 მუხლის მე-2 და მე-9 პუნქტებისა და ,,მაღალმთიან დასახლებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ" - საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის N671 დადგენილების თანახმად

ვბრძანებ:

1. მიენიჭოს, სახელმწიფო სერვისების განვითრების სააგენტოს მიერ 2016 წლის 13 იანვრის წერილი N01/6955 წარმოდგენილი სიის გათვალისწინებით, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებებში (სოფლები: ზოტი, ჩხაკაურა) არსებულ საჯარო სკოლებში დასაქმებულ მასწავლებლებს, მოსწავლეებს და ამ მოსწავლეების მშობლებს; სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის მიხედვით მაღალმთიან დასახლებაში რეგისტრირებულ პირებს; სსიპ-ეროვნული სატყეო სააგენტოში დასაქმებულ პირებს, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან მაღალმთიან დასახლებაში - მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები ფიზიკური პირის სტატუსი თანდართული excel-ის ფაილის შესაბამისად.
2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე ჭავჭავაძის ქუჩა N 4.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუნიციპალიტეტის გამგებელი: *ირაკლი კუჭავა*

ვიზირებულია

ადმინისტრაციული სამსახურის

იურიდიული განყოფილების უფროსი: *გ. შენგელია*